



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 54

2017 წელი 28 სექტემბერი

ქ.ბათუმი

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-სათვის გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და გადასაცემ ქონებაზე „სასაფლაოს სტატუსის“ მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ს 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მახოში მდებარე 4079 კვ.მ (ს/კ 22.28.08.730), სოფელ ორთაბათუმში მდებარე 10801 კვ.მ (ს/ნ 22.22.08.581), სოფელ სალიბაურში მდებარე 25152 კვ.მ (ს/კ 22.22.16.145) სოფელ კაპანდიბში მდებარე 7374 კვ.მ (ს/კ 22.26.10.151) და 6628 კვ.მ (ს/კ 22.26.10.152), სოფელ განთიადში მდებარე 3340 კვ.მ (ს/კ 22.21.07.008) და სოფელ ჩაისუბანში მდებარე 10121 კვ.მ (ს/კ 22.22.12.003) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შემდგომში მისი მოვლა-პატრონობის მიზნით;

2. ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულ მიწის ნაკვეთებს მიენიჭოს სასაფლაოს სტატუსი.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე